



პროექტი ზრდა საპარტოველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



## USAID/Zrda და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერების მხარდასაჭერად

სასტუმრო კოსტე, თბილისი - 2017 წლის 9 ნოემბერს, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, რევაზ ასათიანმა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტ Zrda-ს ხელმძღვანელმა, ბრეიან კინგმა ლაბორატორიული აღჭურვილობა გადასცეს სოფლის მეურნეობის შვიდ (7) საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს პროექტ Zrda-ს სამიზნე მუნიციპალიტეტებში, კერძოდ კი ქარელში, გორში, ხაშურში, კასპში, ახალციხეში, ნინოწმინდასა და ასპინძაში.

დღევანდელ დღეს აღინიშნება მორიგი ერთობლივი ინიციატივის გაფართოება, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და USAID/Zrda-ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხელშეწყობასა და საქართველოში მოღვაწე ფერმერების დახმარებაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ურთიერთგაგების მემორანდუმზე დაყრდნობით, USAID/Zrda ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის 14 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის გაძლიერებას სავსე სამუშაოებისათვის მათი ლაბორატორიული ხელსაწყოებით აღჭურვის გზით. მობილურ ლაბორატორიულ ხელსაწყოთა ეს ნაკრები საშუალებას აძლევს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს დაეხმარონ ფერმერებს უშუალოდ სამუშაო პროცესში პრაქტიკულად გაწეული სერვისებით. ზემოაღნიშნულის მიზანი არის იმ პრობლემების აღმოჩენა, რაც დაკავშირებულია მცენარეთა კვების, მავნებლებთან ბრძოლის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის და pH-ის განსაზღვრის საკითხებთან. შედეგად, ფერმერებს ეძლევათ შესაძლებლობა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და ხელი შეუწყონ მათ პროდუქტის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს პროექტ Zrda-მ უკვე აღჭურვა სოფლის მეურნეობის 7 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი და ფერმერთა მომსახურების 4 ცენტრი ზუგდიდში, წალენჯიხაში, ბოლნისში, მარნეულში, ახმეტაში, წალკაში და დუშეთში. როგორც ასეთი, 63 ფერმერმა უკვე მიიღო საკონსულტაციო პაკეტი ფერმერთა მომსახურების ცენტრებისგან. აღნიშნული ინიციატივის გაძლიერების მიზნით Zrda-მ მოიწვია ისრაელის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (MASHAV) და USAID-ის ფერმერი ფერმერისთვის (F2F) ექსპერტები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიის დასანერგად, რაც მიზნად ისახავს მოსავლის გაზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.



პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, Zrda ხელს უწყობს სხვადასხვა საწარმოო ჯაჭვის განვითარებას, რომელიც მოიცავს კენკროვან კულტურებს (მარწყვი, ჟოლო, მაცვალი, მოცვი), ხეხილის ბაღებს (ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ალუბალი), ბოსტნეულის წარმოებას (ბროკოლი, კიტრი, პომიდორი, წიწკა, ბადრიჯანი და სალათის ფოთლები) და მეფუტკრეობას. წელიწადნახევრის განმავლობაში, პროექტის დახმარებით მოეწყო 18 სადემონსტრაციო ნაკვეთი (7 კენკროვან კულტურათა და 11 ღია გრუნტზე ბოსტნეულის წარმოება) და 42 სასათბურე მეურნეობა, 8 მეფუტკრეობის კოოპერატივი, რამაც ხელი შეუწყო მოსავლის გაზრდას და ფერმერთა მიერ 2.075.927 ლარის ოდენობით შემოსავლის გენერირებას.

Zrda ასევე მუშაობს სადაზღვევო კომპანიებთან, სათბურების დაზღვევის პროდუქტის შემოღებასთან დაკავშირებით. Zrda წარმოება-რეალიზაციასთან დაკავშირებული საბაზრო ურთიერთობების განვითარებას უწყობს ხელს ისეთი აგრო პორტალებისა და მობილური აპლიკაციების მხარდაჭერით, როგორებიცაა *ტრაქტორი* და *აგრონავტი*.

**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge); [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)